დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
„ვებტექნოლოგიების“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ -კოლეჯი „მოდუსი“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმური

☐ არაგეგმური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ვებტექნოლოგიები	30	0	0

III. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 5 ივლისის № 828936 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 18 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ , (ქ. რუსთავში, ჟ. შარტავას. გამზ. №4) „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის ,,ბ.ბ” კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით (მონიტორინგი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმი, რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ჩანიშნულ იქნა მონიტორინგი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარს და სხვა პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა. **შესრულებულია სრულად. კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში შეძენილ იქნა აღჭურვილობა.**

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული **რჩევა პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფასთან დაკავშირებით.**

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძ. № 372, 19.12.22
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას. გამზ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. სტანდარტის/კომპონენტის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია, **A/B გარემო** სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა და პროექტორი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 30 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში). შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლისა და აუდიტორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ სრულად იქნა აღჭურვილი 15 სამუშაო ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისთვის, შეძენილია 15 ახალი თაობის i5 პროცესორები, 8 ოპერატიული მეხსიერებით (RAM) და ორ-ორი მონიტორი და **C გარემო** - ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“ სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულისათვის, ოთახში ასევე არის გამწოვი კარადა და წყლის ნიჟარა. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული მასწავლებელი, აქედან, 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით დასტურდება მათი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გავლილი აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილი ტრენინგები ინტეგრირებული სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით, **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ მოხდა გასაუბრება პროგრამის ახალ ხელმძღვანელთან, შესწავლილ იქნა მისი პირადი საქმე, გაფორმებულია როგორც პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულება ასევე დამატებითი შეთანხმება როგორც პროგრამის ხელმღვანელთან . ხელშეკრულების თანახმად, პროგრამის ხელმღვანელი მუდმივად ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განვითარებასა და სასწავლო გეგმების შედგენაში და განახორციელებს პროგრამის მიმდინარეობაზე მონიტორინგს. **ექსპერტთა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონეხელმძღვანელი.

5. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. ,,ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტრონ ფორმატში (PDF ვერსია/დასკანერებული ვერსია). ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ელექტრონულად არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი (13 პროფესიული სტუდენტი). პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, წარმოადგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.08.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: